

# ქართლის კრემის

# უცხანი

№13  
923



საქართველოს  
საპატირიარქოს  
პრესცენტრის  
ყოველკვირეული  
გამოცემა

4-10 აპრილი 2019 წ. გამოიცემა 1999 წლის 8 იანვრიდან  
ვასი 70 თეთრი

- ✖ პატირიარქის  
ქადაგება
- ✖ ეროვნია.  
ინფორმაცია.
- ✖ ხარება
- ✖ „რომელიან საჭოს,  
მისცა მას ნანილი  
ქალისა მისგან  
ცხოვრებისა“  
გვესაუბრება მღვდელი  
დავით მექაბიშვილი
- ✖ იმაზი ღვთისა  
თურდაც მცირა და  
შაუენენავალი არის  
მთაცია და  
საცო ღუზა
- ✖ ქრისტიანული  
ნირვანატონიზმი
- ✖ „განაცლდაპოდათ  
თაუან სულითა მით  
გონებისა  
თაუანისაითა“
- ✖ გოლოგნალი  
ჭირაჟაპევების  
ოჯახი



„იხარე, სამყაროვ, იზეიმე, კართა მოფგმავ,  
ვინაიდან განიდიდა ქალნული“

# ქრისტიანული ნეოპლატონიზმი

ფილის არქიტექტონიკური და ნემესიოს ემესელი

## ნაცილი პირველი - დიონისი არეოპაგელი

I

დიონის არეოპაგელმა და ნემესიოს ემესელმა ანტიკური პლატონიზმის განვითარებისა და გაღრმავების საქმეში დიდი წვლილი შეიტანეს. ამასთანავე, ისინი ქრისტიანული ნეოპლატონიზმის მნიშვნელოვანი წარმომადგენლები იყვნენ. ორივე მოაზროვნეს წილად ხვდა რეცეფციის ძალზე მდიდარი ისტორია - როგორც ბიზანტიაში, ასევე ლათინურენოვან დასავლეთში. შუა საუკუნეების ცნობილი ფილოსოფოსები ინტენსიურად იყენებდნენ მათ მოძღვრებებს საკუთარ თხზულებებში. ამავე პერიოდის წამყვანი ქართველი მოაზროვნეებიც ამ ორი ქრისტიანი ფილოსოფოსის ნაშრომებს კარგად იცნობდნენ, რასაც წათლად აჩვენებს მათი თხზულებების ძველქართული თარგმანები, რომლებიც შუა საუკუნეებში შესრულდა. დიონის

არეოპაგელი და ნემესიოს ემესელი ახალი დროის ქართულ აზროვნებაშიც დიდი პატივით სარგებლობდნენ. აქედან გამომდინარე, გასაკვირი სულაც არ არის, რომ მათ შუა საუკუნეების ქართულ ფილოსოფიაში დიდი ყურადღება ექცეოდა.

II

ეფრემ მცირემ, შუა საუკუნეების ქართული აზროვნების თვალსაჩინო წარმომადგენელმა, XI საუკუნეში მთელი არეოპაგიტული კორპუსი (ე. ი. ოთხი თხზულება და ათი ეპისტოლე) თარგმნა და შესავალი კომენტარიც დაურთო. მან, ასევე, თარგმნა მაქსიმე აღმსარებლის (580-662 წწ.) და ეპისკოპოს გერმანოზის (VIII ს.) სქოლიოები, რომლებიც ამ ტექსტებს თან ერთვოდა. არეოპაგიტული კორპუსის უძველეს ქართულ ხელნაწერებში (XI-XIII სს.) მოცემულია ცნობები ქართული თარგ-

მანის წარმოშობის შესახებ. ამას მოწმობს ეფრემ მცირეს ცნობა თავისი მასნავლებლის, „ღვთაებრივი ფილოსოფოსის“, სახელად იოანეს შესახებ. იგი ეფრემს თარგმანის პროცესში ისე დახმარებია, რომ, ეფრემისვე სიტყვით, მისი თანადგომის გარეშე ამ როული სამუშაოს შესრულებას ვერ მოახერხებდა. XVIII საუკუნის ზოგიერთი ქართველი მოაზროვნე (ანტონ ბაგრატიონი, დავით რექტორი და იოანე ბატონიშვილი) ფიქრობდა, რომ ამ მისტიკური მასნავლებლის უკან იოანე პეტრინის ფიგურა უნდა „იმალებოდეს“. სერგი გორგაძემ ეს პიპოთება სამართლიანად უარყო. 1914 წელს იოანე პეტრინის მიერ თარგმნილი ხემქინის ემესელის ნაშრომის „ბუნებისათვის კაცისა“ გამოცემაში ს. გორგაძემ უარყო ზემოთ დასახელებული დებულება და საკუთარი ალტერნატივა წარმოგვიდგინა: ეფრემ მცირეს მიერ ნახსენები „იოანე, ღვთაებრივი ფილოსოფოსი“ ისტორიულ დოკუმენტებში შემდეგი სახელწოდებითაც არის შენარჩუნებული: „იოანე გრამატიკოსი“, რომელიც სინამდვილეში მართლაც შეიძლება ყოფილიყო ეფრემ მცირეს მასნავლებელი.

იმ კომენტარებში, ეფრემ მცირემ რომ დაურთო არეოპაგიტულ კორპუსს, საქმე ეხება არეოპაგელის სპეციფიკური კონცეფციის ტერმინოლოგიურ და ეტიმოლოგიურ ასსნა-განმარტებას. ეფრემის კომენტარებში არის ზოგიერთი ადგილი, რომელსაც უალრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამ კორპუსის რეცეფციის ისტორიაში.

ქართველი მთარგმნელი განმარტავს დიონისეს მიმართებას იეროთეოსთან და პავლესთან. აქ ეფრემმა თავად არეოპაგელის მონაცემები გამოიყენა: იეროთეოს იგი საკუთარ მასნავლებელს უწოდებს, ხოლო პავლე კი ორივე მათგანის მასნავლებელია. გარდა ამისა, ყურადღებას იმსახურებს ეფრემის კომენტარების სხვა მნიშვნელოვანი ასპექტები. აქ საქმე ეხება იმ ადგილებს, სადაც ეფრემ მცირე სიტყვების „თეორია“ / „თეოს“ ეტიმოლოგიურ მნიშვნელობებს განმარტავს. ეს ორი სიტყვა ბერძნულ ენაში ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია: „თეორია“ - სა და „თეოს“ - ს შორის ეტიმოლოგიური წათესაობა / სიახლოეს არსებობს, რადგან მხოლოდ ღმერთია ის არსება, რომელიც ყოველივეს ქვრეტს. ეფრემი აქვე აღნიშნავს, რომ მან ამის შესახებ კიდევ უფრო დაწვრილებით იოანე დამასკელის თხზულებების თარგმანში ისაუბრა. ამდენად, ამით მისი თარგმანების ქრონოლოგიის საკითხიც გადაიქრა: ეფრემ მცირემ ჯერ იოანე დამასკელის თხზულებებით თარგმნა, ხოლო შემდეგ კი - არეოპაგიტული კორპუსი.

ეს ორი მნიშვნელოვანი ადგილი ეფრემის კომენტარებიდან წათლად აჩვენებს, რომ მან არეო-

პაგიტული კორპუსი ქრისტიანული ფილოსოფიის / მეტაფიზიკის ქრილში გაიაზრა. დიონისე არეოპაგელის თხზულებებმა ეფრემს, როგორც ქრისტიანული სულისკვეთების მქონე ქართველ მოაზროვნეს, დიდი შესაძლებლობები მისცა „ღვთაებრივი ფილოსოფიის“ გასავითარებლად, რაც ეფრემმა სათანადოდ გამოიყენა კიდევაც. ამდენად, ღვთაებრივის გაეგება მისი ფილოსოფიური აზროვნების შუაღულში მოექცა.

შუა საუკუნეების ქართველ მოაზროვნეებს დიონისე არეოპაგელი პლატონიკოსად მიაჩნდათ. ამას ადასტურებს არეოპაგიტული კორპუსის ძველქართული თარგმანების უძველესი ხელნაწერი (XIII ს.). არშიაზე მოცემულ ერთ-ერთ ძველ მინაწერში დიონისე არა მარტო ქებით არის მოხსენიებული, არამედ „პლატონურ ფილოსოფიადა“ მიჩნეული. დიონისე არეოპაგელის ასევე საყურადღებო და მნიშვნელოვანი შეფასება მოცემულია პროკლე დიადოხოსის „თეოლოგიის საწყისების“ იოანე პეტრინის მიერ შესრულებული ძველქართული თარგმანისა და კომენტარის უძველეს ხელნაწერში (XIII ს.). აქ საუბარია იმის შესახებ, რომ არეოპაგელი არის პროკლეს ფილოსოფიაზე დამოკიდებული ავტორი. ეს მოსაზრება საქართველოში გაცილებით ადრე გვხვდება, ვიდრე ლათინურენოვან სივრცეში. აღნიშნულ ხელნაწერში მოცემულია პეტრინის თხზულების ანონიმი გადამწერის სიტყვები, რომლებიც „თეოლოგიის საწყისების“ ორსახა ხასიათზე მიუთითებს. აქ საუბარია იმის შესახებაც, რომ დიდმა ბრძენმა დიონისემ და სხვა მოაზროვნეებმა თეოლოგის წოდება სწორედ ამ ნაშრომის შესნავლის შედეგად მიიღეს. აქ ჩვენ გვხვდება ზოგიერთი ადრე არსებული დოკუმენტი, რომელიც ნათლად ადასტურებს პროკლეს გავლენას. ვინ იცის, იქნებ ძველქართული თარგმანის ხელნაწერის ანონიმმა გადამწერმა იცოდა კიდეც ფსევდო-დიონისე არეოპაგელის საიდუმლო?! ყოველ შემთხვევაში, მის მიერ ხშირად მოხმობილი აზრები ამგვარი დაშვების სრულ შესაძლებლობას გვაძლევს!

შუა საუკუნეების საქართველოში არსებოდა სხვა, უფრო „დისტანცირებული“ დამოკიდებულება დიონისე არეოპაგელის შემოქმედების მიმართ. იოანე პეტრინი, რომელიც კარგად იცნობდა ანტიკურ წყაროებს და (დიდი აღბათობით!) დიონისე არეოპაგელის არა მარტო ბერძნულ ორიგინალს, არამედ მისი ნაშრომების ძველქართულ თარგმანებსაც (იმ დროს უკვე არსებობდა არეოპაგიტული კორპუსის თარგმანები ეფრემ მცირეს მიერ!), თავის კომენტარში არ ახსენებს დიონისე არეოპაგელის ნაშრომებს. მაშასადამე, მან გვერდი აუკარ დიონისე არეოპაგელს და, პროკლე დიადოხოსის

ბიზანტიელი და ლათინი კომენტატორებისგან განსხვავებით, პროკლეს „თეოლოგიის საწყისები“ არეოპაგიტული კორპუსის ხსენების გარეშე განმარტა. ამ მიდგომის მიზეზი ცნობილი არ არის და დაწვრილებით კვლევა-ძიებას მოითხოვს! შესაძლოა, პეტრინი თავისი კომენტარის მიზნების შესატყვისად არ თვლიდა დიონისე არეოპაგელის მოძღვრების მოხმობით პროკლეს აღნიშნული ნაშრომის განმარტებას.

ბიზანტიასა და შუა საუკუნეების ლათინურენოვან სამყაროში კი დიონისე არეოპაგელის მოხმობა პროკლეს ფილოსოფიის განმარტების პროცესში უმნიშვნელოვანეს წინაპირობად ითვლებოდა. ამის თვალსაჩინო ნიმუშია ნიკოლოზ მეთონელისა (XII ს.) და ბერთოლდ მოსბურგელის (XIV ს.) კომენტარები პროკლეს „თეოლოგიის საწყისების“ შესახებ. ნიკოლოზ მეთონელმა ამ ნაშრომის კრიტიკული კომენტარი შექმნა, რადგან მას პროკლე ქრისტიანული თეოლოგიის მტრად მიაჩნდა. დიონისე არეოპაგელი კი მისთვის უმაღლესი ავტორიტეტი იყო და ქეშმარიტი ქრისტიანი თეოლოგის განსახიერებას ნარმოადგენდა, რომლის მასშტაბითაც სხვა მოაზროვნები უნდა შეგვეფას ებინა. სწორედ აქედან იღებს სათავეს მისი „უკუგდების“ (*Refutatio*) მთავარი იდეა, რომელიც დიონისესა და პროკლეს დაპირისპირებაში გამოიხატება. ნიკოლოზ მეთონელი ამ ორი მოაზროვნის შედარების შედეგად ამბობს, რომ პროკლეს ნააზრევი ქრისტიანულ დოგმებს ენინააღმდეგება. ამდენად, მან დიონისე არეოპაგელის ავტორიტეტი და მოძღვრება საიმისოდ გამოიყენა, რომ პროკლეს ფილოსოფია უარესო.

პროკლეს „თეოლოგიის საწყისების“ ლათინურენოვანმა კომენტატორმა, ბერთოლდ მოსბურგელმა ნიკოლოზ მეთონელისგან განსხვავებული მიზანი დაისახა: იგი ცდილობდა დიონისე არეოპაგელისა და პროკლე დიადოხოსის სააზროვნო სისტემათა თავსებადობა ეჩვენებინა. ბერთოლდი ხშირად იმოწმებს დიონისეს და გვიანი ანტიკური ხანისა და ადრეული შუა საუკუნეების ამ ორი დიდი პლატონიკოსის შინაგან სიახლოვეს აჩვენებს. გერმანელ დომინიკელ ბერს საამისოდ კიდევ ერთი დამატებითი მოტივი ჰქონდა: ბერთოლდი ცდილობდა „ლვთაებრივი თეოლოგიის“ შექმნას, რომელიც „ქეშმარიტი მეცნიერებისა“ და „უმაღლესი ცოდნის“ გარანტია უნდა გამხდარიყო. მისი აზრით, ამ ამოცანის შესასრულებლად პლატონის და პლატონიკოსთა ფილოსოფია და, უნინარეს ყოვლისა, პროკლესა და დიონისე არეოპაგელის მოძღვრება საუკეთესო საშუალებას ნარმოადგენდა.

ამრიგად, პროკლეს სამი განსხვავებული კომენტატორი, რომელიც სხვადასხვა კულტურულ სივრცეში მოღვაწეობდა, დიონისე არეოპაგელის



პროფესიონალ თანამდებობა

მიმართ განსხვავებულ დამოკიდებულებებს ამჟღავნებდა:

1. ნიკოლოზ მეთონელი ფიქრობდა, რომ პროკლეს წარმართული ფილოსოფია ქრისტიანობას არ გამოადგებოდა და ამიტომ დიონისე არეოპაგელის მეშვეობით მის უარყოფას ცდილობდა.

2. ბერთოლდ მოსბურგელი ხშირად მოიხმობდა დიონისე არეოპაგელს, ნიკოლოზ მეთონელისაგან განსხვავებული შემეცნებითი მიზნებისა და ამოცანების გამო: იგი ცდილობდა, რომ პროკლეს მოძღვრება დიონისეს მეშვეობით დაეცვა და ქრისტიანული ფილოსოფიის კონტექსტში მისი მინიშვნელობა და აქტუალობა ეჩვენებინა.

3. იოანე პეტრინი ამ ორი კომენტატორისგან განსხვავებულ, ორიგინალურ ხედვას ავითარებდა და პროკლეს დიონისე არეოპაგელის მოხმობისა და ხსენების გარეშე განმარტავდა. მან ქრისტიანული ფილოსოფიის ისეთი მოდელი შექმნა, რომელიც ძველბერძნული ფილოსოფიის დიდ გამოცდილებას ეყრდნობოდა და სამომავლოდ სანიმუშო უნდა ყოფილოყო.

ამის მიუხედავად, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ არეოპაგიტულმა კორპუსმა ქართულ კულტურაზე დიდი გავლენა მოახდინა. ეს კარგად აჩვენა ივანე ლოლაშვილმა მის მიერ შედგენილი და გამოცემული კრებულით, რომელიც ასეთი სახითაა დასათაურებული: „არეოპაგიტული კრებული: დიონისე არეოპაგელი და პეტრე იბერიელი ძველ ქართულ მნერლობაში“ (თბილისი, „მეცნიერება“, 1983 წ.). ეს კრებული ქართულ აზროვნებაში დიონისე არეოპაგელის ნაშრომების რეცეფციის და ტრანსფორმაციის ისტორიის თვალსაჩინო დოკუმენტია.

თენგიზ ირემაძე  
ახალი საქართველოს  
უნივერსიტეტის პროფესორი,  
კავკასიური ფილოსოფიისა და თეოლოგიის  
სამეცნიერო-კვლევითი არქივის დირექტორი